

ან სექსტონის გავლენა სილვია პლატის ლექსზე „მამილო“

სილვია პლატის ცნობილი ლექსი „მამილო“, ზოგიერთების აზრით, ავტორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლექსია. ეს ორიგინალური და პროვოკაციული ნამუშევარი ვალშია პოეტის ან სექსტონის ადრეულ კონფესიონალურ ლექსთან „ჩემო მეგობარო, ჩემო მეგობარო“. სექსტონის ლექსი პირველად გამოჩნდა Antioch Review -ში 1959 წლის ზაფხულში. თუმცა პლატმა ის უფრო ადრე მოისმინა, 1958 წლის ბოლოსა და 1959 წლის დასაწყისში, ბოსტონის უნივერსიტეტში, ლოუელის ვორკშოფზე. შესაძლოა უნივერსიტეტის არაფორმალურ გარემოშიც ჰქონოდა მოსმენილი.

ამ დროს სექსტონი მუშაობდა ლექსების წიგნზე „გზა ფსიქიატრიულ საავადმყოფომდე და უკან“ (1960). თავისი შემოქმედებით სექსტონმა მაგალითი უჩვენა პლატს, თუ როგორ მოეხერხებინა პირადისა და ღრმად პერსონალურის გამოტანით პოეზიის შექმნა, პირველ პირში საუბარი. პლატმა მოგვიანებით აღიარა სექსტონისა და ლოუელის დიდი გავლენა მის პოეტურ განვითარებაზე. აქ არის საუბარი იმ ტიპის ზეგავლენებზე, რომელსაც ვერც ერთი ახალბედა ავტორი ვერ გაექცევა.

„ძალიან გახარებული ვიყავი იმით, თუ რა ვიგრძენი, როცა პირველი გარღვევა მოვიდა რობერტ ლოუელის „ცხოვრების გაკვეთილებით“ (1959). ეს ინტენსიური რღვევა ძალიან სერიოზულ, პირად, ემოციურ განსაცდელად იქცა, რომელსაც ნაწილობრივ ტაბუდ აღვიქვამდი. მე ვფიქრობ, განსაკუთრებულად ან სექსტონია უკიდურესად ემოციური და ახალგაზრდა მგრძნობიარე ქალი და მისი ლექსები არის საოცრად ოსტატურად დაწერილი და მათ აქვთ ემოციური და ფსიქოლოგიური სიღრმე, რომელიც არის ახალი, საკმაოდ ამაღელვებელი“. ორივე განცხადება BBC-ს ინტერვიუებიდანაა, რომლებიც ჩაწერილია 1962 წლის ოქტომბერში, „მამილო“ დაიწერა ამავე თვის 12-ში, ეს არის თარიღი პლატის ხანმოკლე ცხოვრების ყველაზე კრეატიული პერიოდის დაწყებისა. 1962 წლის შემოდგომაზე მან დაწერა ნახევარი ლექსების კრებულებისა: Winter Tree (1971) და Ariel (1965). ცხოვრების ამ ეტაპზე დაწერილი ლექსები საუკეთესოა პლატის შემოქმედებაში.

სექსტონის ლექსი, როგორც ვარაუდობენ, ეძღვნება პოეტის მეგობარს, მაქსიმო ვინოკურ კუმინის. ეს მოსაზრება გამყარებულია იმ ფაქტით, რომ კუმინის მსგავსად, მეგობარიც ლექსში ებრაელია. მთხრობელი ამტკიცებს, რომ არ არის რომელიმე რელიგიის მიმდევარი. ლექსის ფოკუსს ლირიკული გმირის თავდაუღწეველი დანაშაულის გრძნობა ქმნის, გამოხატულია მოსაუბრის ღრმა განცდა, რომ აპატიოს და იყოს ნაპატიები. „მამილოც“ არის პირველ პირში დაწერილი მიმართვა, თხოვნა, იყოს ნაპატიები.

„მამილოს“ ადრესატი ახლობელია მოსაუბრისათვის. ეს ლექსი, უდავოდ, ოთო პლატითა და ტედ ჰიუზით არის ინსპირირებული, მაგრამ ისინი არ არიან ნაცისტი მამები, არც მამაკაცი შავებით meinkampf-ის გარეგნობით, ხოლო პლატი არის ბომა ტაროს მკითხავი, ვინც თავს ებრაელად გრძნობს. პლატმა გამოიყენა და დაამახინჯა ავტობიოგრაფიული ფაქტები, რომ

აღწეროს სადომაზოხისტური და უკიდურესად, ორმხრივად დესტრუქციული ურთიერთობები. ამის გასაკეთებლად მან საუკეთესოდ სექსტონის მოდელი მიიჩნია.

მხატვრული მიზნების განსახორციელებლად ავტორი სესხულობს და მსუბუქად ცვლის რითმებს, სიტყვებსა და ტექსტებს სექსტონის ადრეული ლექსებიდან. ლექსში „ჩემო მეგობარო, ჩემო მეგობარო“ გამოყენებულია AABA რითმითი სქემა. მის ექვს სტანცას, ბოლო სტანცას გამოკლებით, რომელიც ამატებს ხაზს A-რიტმით ბაზისურ ოთხტაქტიანი. ეს A რითმები იმეორებენ და ექოდ გაისმის „მამილოში“. პლატი სესხულობს სექსტონის სიტყვებს სიმძაფრის გამოსახატავად 'do',(კეთება) 'you'(შენ), 'jew',(ებრაელი) ამატებს გამჭრიახ ვარიანტებს თავისას: 'shoe'(ფეხსაცმელი) , Achoo, blue(ლურჯი) , du , true, (მართალი) though, (თუმცა) who(ვინ) და glue.(წებო). განსაკუთრებული მინიშნება არის პლატის "gobbledygoo" სექსტონის "bugaboo".

სექსტონის ოთხტაქტიანი დასასრული ალტერნატიული რეფრენებით, მეორე და მეოთხე ბჭვარებს სტანცის გახსნა: „რელიგიის ან ღმერთის გარეშე“ და „ მე ვფიქრობ უკეთესია იყო „ ებრაელი“. ეს მეორე ამ რეფრენების არის ორჯერ დამუშავებული პლატის მიერ, გახდა „მამილო“: “ I think I may well be a jew” (შესაძლოა მე ვარ ებრაელი) და “ I may be a bit of a jew” უფრო მეტიც, “ with my calm white pedigree, my yankee kin,/ I think it would be better to be a jew,” პირველი ოთხტაქტიით” my friend...”ამკარად ემსახურება როგორც მოდელი ბჭვარებისათვის რომელიც მიდის პლატის მეორე ვარიანტის „ ებრაელის” რეფრენი.

With my gipsy ancestors and my weird luck

And my Taroc pack and my Tarock pack

I may be a bit of a Jew.

(ჩემი ბოშა წინაპრებით და უცნაური იღბალით, და ჩემი ტაროს კარტებით შეიძლება ცოტათი ებრაელი ვარ).

სექსტონთან მსგავსება სიკვდილთან კავშირითაც გამოიხატება და მშობლისაგან საბოლოო გათავისუფლების სურვილითაც. „მამილოში“ ასახულია ოცწლიანი მახრჩობელა ტანჯვა და საბოლოოდ ეგზორციზმისა და გათავისუფლების რიტუალის ჩატარება - იმედი მიაღწიოს პიროვნულ თავისუფლებას. მამილოს სიკვდილი შორსაა დრამატული, მტანჯველი და ავისმომასწავლებელი განცდისგან, როგორც სექსტონის ლექსში დედაზე. “Daddy, daddy, you bastard, I am through”, და ეცემა.

პლატი ააშკარავებს თავის ჭეშმარიტ არტისტულობას. ცალსახაა, რომ ამ ლექსით იგი ვალშია სექსტონთან. თუმცა ეს არ არის პლატის მიღწევების დამცირება. „ჩემო მეგობარო, ჩემო მეგობარო“ არის გამონაკლისი, ადრეული მაგალითი სექსტონის კონფესიონალური პოეზიისა, „მამილო“ კი, ბრწყინვალე აქტია ეგზორციზმისა პლატის პოეზიის გვიანდელ პერიოდისა. „მამილო“ გავლენების მიუხედავად, პლატის გამორჩეული და უნიკალური ლექსია.¹

პლატის ადრეული ლექსები შინაგან მრისხანებას გამოხატავენ, მათი უმრავლესობა მთავრდება მწარე თვითსაყვედურით. მხოლოდ მოგვიანებით პოეტი პირდაპირ ესხმის მამას. პლატმა კარგად იცოდა, რომ მისი სიყვარელი მამისადმი არეულია სადომაზოხისტურ გრძნობებთან. „ის იყო ავტოკრატი,“ ამბობდა შვილი მამაზე. „მე მას ვადმერთებდი და მძულდა ამავედროულად. მე ბევრჯერ მსურდა, რომ ის მომკვდარიყო. როცა, როგორც იქნა, მოკვდა, მე წარმოვიდგინე რომ მე ის მოკვალი“ (Steiner 45).

¹ Daddy: Sylvia Plath's debt to Anne sexton. Author: Heather Cam. American literature, vol.59,no 3 (oct.1987) pp. 429-432

პლათის ელეგიებში ერთდროულად ვითარდება ბრაზი და საკუთარი დანაშაულის შეგრძნება მამის სიკვდილში. თვითგამანადგურებელი გლოვა დიდხანს ასრულებს მთავარ როლს. მაგრამ ელეგისტები პლატივით არ არიან აგრესიულნი და დაჟინებულნი. სხვა პოეტებისგან განსხვავებით, ის არის თვითშეწირვის აქტში: მისი ელეგიები სრულდება სხვადასხვა წარმოსახვით: სამართებლის ყელში გამოსმით, ქორწინებით პირველ აჩრდილთან, „საბოლოოდ დაღლილის“ ყოფით.

ელექტრას კომპლექსი ფარავს მტრობას მამის მიმართ. როცა პლატმა წაიკითხა ფროიდის „გლოვა და მელანქოლია“, მან აღიარა რომ, „ეს იყო თითქმის ზუსტი აღწერა მისი გრძნობებისა და თვითმკვლელობის მიზეზების“ (Journal 280). ფროიდი უშვებს, რომ ამბივალენტურობა დასაშვებია სიყვარულის ყველა ურთიერთობასა და გლოვაში, მისის აზრით არაპროპორციულია ნეგატიური გრძნობის შედეგად „მელანქოლიურ“ ან „პათო-ლოგიურ“ გლოვაში, დახასიათებული“ თვითსაყვედურის ეფექტით რომ თვითონ მგლოვიარე არის დამნაშავე, საყვარელი ობიექტის დაკარგვაში მაგალითად“ მას სურდა ეს, ქვეცნობიერად.²

„მამილო“, რომელიც შედგება 16 ხუთტაეპიანი სტანცისგან, არის ბრუტალური და გესლიანი ლექსი, გაგებული როგორც ლექსი სილვიას გარდაცვლილ მამაზე. მთხრობელი იწყებს საუბარს, „რომ ის არ აკეთებს მეტს“ და გრძნობს, თითქოს ფეხის ტერფია, რომელიც 30 წელია შავ ფეხსაცმელში ცხოვრობს. ეშინია ან ისუნთქოს, ან დააცემინოს. მას სჭირდება მისი მოკვლა, ვისაც მამილოთი მიმართავს, მაგრამ ის გარდაიცვალა, სანამ ის მოკვლას მოახერხებდა.

„მამილო“ პლათის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია. მის შესახებ სხვადასხვა რეაქციები არსებობს, ფემინისტები აქებენ ავტორის ბრაზს მიმართულს მამრობითი დომინირებისადმი, რასაც პოეტი ჰოლოკოსტის სურათის გამოყენებით ამდაფრებს. ლექსი მიმოიხილა და გააკრიტიკა ასობით ლიტერატურათმცოდნე. ეს ლექსი აღიარებულია როგორც ერთერთი საუკეთესო მაგალითი აღმსარებლობითი პოეზიისა.

„მამილო“ უდავოდ რთული ლექსია რამდენიმე მიზეზის გამო: ძალადობრივი სცენების, ებრაელთა წამების მოხმობის გამო; გესლიანმა ტონმა შეიძლება კითხვა არაკომფორტულად აქციოს. საბოლოოდ, ლექსი დაკავშირებულია მამის ზმანების გამოჩენასთან, მამა გარდაიცვალა, როცა გოგონა 8 წლის იყო. ის საკუთარ თავს აღწერს როგორც მსხვერპლს, მამას კი, რამდენიმე ფიგურად წარმოგვიდგენს, მათ შორის ნაცისტად, ვამპირად, ეშმაკად და საბოლოოდ თავის მკვთრებით აღდგენილ ქმრად, რომელიც მას უნდა მოეკლა. ბოლო სტროფებში ტრიუმფალური ტონი შეიმჩნევა, თუმცა უცნობია რას გულისხმობს „მორჩა“, მასთან კომუნიკაციის თუ ფიქრის მორჩენას. პლატმა ეს ლექსი მოკლედ ახსნა BBC-თან ინტერვიუში: „ლექსი ნათქვამია გოგონას მიერ, რომელსაც აქვს ელექტრას კომპლექსი. მამა გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ის ფიქრობდა, რომ ის იყო ღმერთი. მისი შემთხვევა გართულებულია იმ ფაქტით, რომ მისი მამა იყო ნაცისტი და დედა ნაწილობრივ ებრაელი. გოგონაში ეს ორი ხაზი ერთმანეთს ებრძვის და წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. მან უნდა გაითამაშოს ეს საშინელი ალეგორია, სანამ ის გათავისუფლდება.“

² “Daddy, I have had to kill you: Plath, Rage and the modern elegy.”

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ურთიერთსაწინააღმდეგოა ლექსის საზრისიც. არც ტრიუმფისა და არც შიშის გამოხატვა არ არის მისი მიზანი. ყოველი ელემენტი შეიცავს საწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელიც ხსნის იმას, რომ ლექსს აქვს მკაფიოდ ბევრი ინტერპრეტაცია.

ურთიერთწინააღმდეგობის ეს გრძნობა ვლინდება ლექსის რითმის სქემასა და ორგანიზებაში. პლათი იყენებს ე.წ. საბავშვო რითმებს. აქ არის მაგარი ბგერები, მოკლე ხაზები და განმეორებული რითმები როგორცაა "Jew,(ებრაელი)" "through," (მორჩა) "do," (კეთება) and "you" (შენ). ეს კონფიგურაცია და რითმათა სისტემა აძლიერებს ბავშვის ფიგურას ავტორიტატულ მამასთან მიმართებაში. ამგვარი დამოკიდებულება ვლინდება მიმართვის ფორმაში – მამილო, "იი" ბგერების და ბავშური რითმის გამოყენებაში. თუმცა ამ ბავშურ რითმს აქვს ირონია, ავისმომასწავებელი გრძნობა, მას შემდეგ რაც საგალობელის მსგავსი პრიმიტიული ხარისხი შეიძლება იგრძნობოდეს როგორც წყევლა. ერთმა კრიტიკოსმა დაწერა რომ ლექსის „პრიმიტიული, დაჟინებული რითმი არის კონტროლის ერთი ფორმა, ობზესიური რითმი და განმეორებული მოკლე ფრაზები. პრიმიტიული ხარისხი შეიძლება იგრძნობოდეს როგორც წყევლა. ერთმა კრიტიკოსმა თქვა, რომ ლექსის, პრიმიტიული, დაჟინებული რითმი არის მართვის ერთი ფორმა, აკვიატებული რითმი და განმეორებული მოკლე ფრაზები არის საშუალება რითიც ის ცდილობს მოხიბლოს და ბოროტი სულები განდევნოს.“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშურ ასპექტებს აქვთ, გადამწყვეტი, დამცველობითი ხარისხი, ვიდრე უმანკო ნიღაბი.

„მამილო“ ასევე შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ლექსი ინდივიდის შესახებ, რომელიც გაორებულია საკუთარ თავსა და საზოგადოებას შორის. პლათი ქსოვს და კრავს ერთად პატრიარქალურ ფიგურებს – მამას, ნაცისტებს, ვამპირს, ქმარს, შემდეგ მათ აკისრებს პასუხისმგებლობას ისტორიის შიშებში. ლექს „კოლოსის“ მსგავსად, „მამილო“ გამოხატავს პატრიარქალურ ფიგურას, მაგრამ აქ ფიგურას აქვს მკაფიო სოციალური, პოლიტიკური ასპექტი. ამ ინტერპრეტაციაში მთხრობელი მიდის დასკვნამდე, რომ ბორკილებისაგან გასათავისუფლებლად მამა უნდა მოკლას. ამას აქვს ეგზორციზმის, განწმენდის აქტის შეგრძნება. თუმცა მოგზაურობა არ არის მარტივი. პოეტს გააზრებული აქვს, რა უნდა გააკეთოს, მაგრამ ამას სრული კონტროლი ჭირდება. საბოლოოდ თუ არ ამოძირკვავს ანტაგონისტს, თავად ემუქრება განადგურება.

ლექსის აღმსარებლობის, ავტობიოგრაფიულობის საკითხი ასევე ღირს გამოკვლევად. იგი ზუსტად არ მიჰყვება სილვიას ბიოგრაფიას. ზემოთ ხსენებული ახსნა მიაწინებს, რომ ეს ფრთხილად აგებული ფიქციაა. მან ეს ლექსი დაწერა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ქმარმა მიატოვა. ამიტომაც კაცებისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება სრულიად გასაგებია.

პლათის მიერ ჰოლოკოსტის გამოყენებამ კრიტიკოსების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. პოეტი იყო გერმანელი, თუმცა შეპყრობილი იყო ებრაული კულტურითა და ისტორიით. მის რამდენიმე ლექსში ფიგურირებს ჰოლოკოსტის თემა და წარმოსახვა, რაც ამ ლექსში ყველაზე გასაოცარი და დამაბნეველია. ის წარმოიდგენს საკუთარ თავს მატარებელში, რომელიც მიჰყავთ საკონცენტრაციო ბანაკებში, ის იწყებს საუბარს ებრაელივით და თავს გრძნობს ებრაელად. ამ თემაზე დაწერილი ერთერთი მთავარი სტატიის ავტორი ალ სტრანგევეისი (Al Strangeways) წერდა, რომ პლათი იყენებდა პოეზიას, რომ გაეგო კავშირი ისტორიასა და მითოლოგიას შორის. პლათი სწავლობდა ჰოლოკოსტს აკადემიურ კონტექსტში და გრძნობდა კავშირს მასთან, ის თავს მსხვერპლად წარმოიდგენდა. სურდა გაერთიანებინა პირადი და საჯარო თავის ნაწერებში, რომ სწრაფად მისულიყო ამერიკის ცივი ომის თემასთან.

ის რასაკვირველია, იყენებს ჰოლოკოსტის სურათს, მაგრამ ასევე ემყარება ძალადობის მითებს და ისტორიას, მათ შორის ელექტრას, ვამპირიზმს და ვუდუს თემატიკას. სტრენჯვეისი წერს „რომ ჰოლოკოსტი ნიშნავდა მითოლოგიურ განზომილებას, რთულად გასაგები და დაუჯერებელი მოვლენა, წარმოუდგენლად დიდი მსხვერპლის გამო.“

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰოლოკოსტის შოკისმომგვრელი შინაარსი არ არის შემთხვევითი, არამედ ეს არის მცდელობა გაითვალისწინო, თუ როგორ გავლენას ახდენს უდიდესი სისასტიკე და როგორ იწვევს კონკრეტული ადამიანური გრძნობების ხარისხის ესკალაციას.

სინამდვილეში რთულია წარმოვიდგინოთ, რომ სილვია პლათის ლექსები ვინმეს გულგრილად ტოვებს. „მამილო“ არის სამხილი მისი ღრმა ნიჭისა, აქ ერთდროულად ჩანს პოეტის პირადი ტრავმაც და ეპოქის გამოძახილიც, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ერთმანეთია შერწყმული პირადი და საზოგადო, კერძო და საყოველთაო.

ლიტერატურა:

1. Bitter fame: a life of Sylvia Plath, Anne Stevenson, A peter Davison book. Boston 1989
2. Critical essays on Sylvia Plath, Linda W. Wagner, G. K& Company. Boston, Massachusetts
3. Sylvia Plath, Harrold Bloom, Bloom's Modern Critical Views: Sylvia Plath—Updated Edition, 2007
4. Sylvia Plath, An introduction to the poetry, Susan Basnett, Second edition published 2005 by PALGRAVE MACMILLAN
5. The Cambridge introduction to Sylvia Plath, Jo Gill, Cambridge University Press, 2008
6. Comprehensive research and study guide, Sylvia Plath, edited by Harold Bloom. Chelsea House Publishers, 2001.
7. Letters home by Sylvia Plath, selected and edited by Aurelia Schober Plath, HarperPerennial 1975
8. The Colossus and other poems, Sylvia Plath, Vintage international, New York 1998
9. Ariel the restored edition, Sylvia Plath foreword by Frieda Hughes, Haroerperennial 2004
10. ამერიკა 1950-იან წლებში, ვასილ კაჭარავა, გამომცემლობა კლიო, 2011.

Nana Gagua

Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

Sexton's Influence on Sylvia Plath's the poem "Daddy"

Abstract

The poem "Daddy" by American poet Sylvia Plath is a part of her last book collection "Ariel". It is a controversial and debatable poem from the poet's works. Except the poet's biography the poem's artistic values should be noted. In this article is discussed: the influence and impact the poem had on, there is a discussion about Freud's theory, feminisms and its artistical values, also the article deals with the language experiments Sylvia Plath was carrying out during the writing process.